



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 18

2020 წელი 27 ნოემბერი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2020 წლის 27 ნოემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ნოდარ გიორგიძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე, სიმონ ჭოლოკავა, მაკა მესხი, თორნიკე გაჩეჩილაძე, შადიმან გორგოძე, ვლადიმერ წიქორიძე მამუკა გორგოძე, თეონა ფახურიძე, მაია კვიციანი.

საკრებულოს წევრები: სულ 19 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, ზაზა ზივზივაძე, გიორგი რობაქიძე, ალექსი ლომინაშვილი, შალვა დათუაძე, ირინა ტყემელაშვილი, გვანცა გრძელიძე, ირაკლი გოგსაძე, გაბრიელ ღიბრაძე, გურამი კიკნაველიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

მარეხი მშვენიერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

მიხეილ სახამბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

მამუკა ხურციძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

უჩა გელხვიძე - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საკრებულოს აპარატის უფროსი - ნოდარ ებანოძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რამაზ მეფარიშვილი - ექსპერტ-კონსულტანტი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19 წევრმა, დაესწრო 19 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. ნ. გიორგიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვა.
მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თანამომხსენებელი: გივი კობერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

გურამი კვიციანი-მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში: „მოქმედი კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში 2019-2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მამუკა ხურციძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის ანგარიში: „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (და ამავდროულად მცხოვრები) მოსახლეობის ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელებისათვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. კახა გოგსაძე- მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

5. გაუვარგისების, ვადის გასვლისა და დაზიანებების გამო ბალანსიდან ჩამოწერას და განადგურებას დაქვემდებარებული, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხული შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. მიხეილ სახამბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფრ. სპეციალისტი

6. სხვადასხვა:

ა) ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის შედეგები საკრებულოს წევრებს გააცნო: ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

შიდა აიტისა და ინსპექტირების სამსახურის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო - უჩა გელხვიძე - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა სხდომაზე წარადგინა :
გურამი ჩხეიძემ, ამავე კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

აზრი გამოთქვას: მურად ბურჯანაძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ვლადიმერ წიქორიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

ვლადიმერ წიქორიძე - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, იგი დაინტერესდა სოფელ ფერსათში მერის ყოფილი რწმუნებულის ბონდო ჭელიძის არასწორად განთავისუფლების გამო, ბიუჯეტიდან რა თანხა გაიცა და დაისაჯა თუ არა რომელიმე საჯარო მოხელე ამისათვის.
როგორც ლ. გუმბერიძემ განმარტა ამ პერიოდისათვის დასჯილი არავი არის.

საკრებულომ გადაწყვიტა:

მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ მიღებული იქნა ცნობად..

მ ო ს მ ი ნ ე ს : 2. .მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში: „მოქმედი კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში 2019-2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიში წარმოადგინა: მამუკა ხურციძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო: თორნიკე გაჩეჩილაძემ - საკრებულოს იურდიული და საპროცესო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე კომისიამ დადებითად შეაფასა სამსახურის საქმიანობა

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 59 27.11.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-17 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 17 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს : 3. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის ანგარიში: „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (და ამავდროულად მცხოვრები) მოსახლეობის ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელებისათვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიში წარმოადგინა: მარეხი მშვენიერაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო: ფრიდომ მაჩიტაძემ - საკრებულოს კულტურის, განათლების., სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის გადაწყვეტილება.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 60 27.11.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-16 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 16 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

2021-24 წლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის თაობაზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- **სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 61 27.11.2020წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-16 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 16 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. გაუვარგისების, ვადის გასვლისა და დაზიანებების გამო ბალანსიდან ჩამოწერას და განადგურებას დაქვემდებარებული, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხული შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **მიხეილ სახამბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- **სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 62 27.11. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-16 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 16 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 20201 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

ლერი გუმბერიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ძირითადი მიმართულებები, რომლის დაფინანსება იგეგმება 2021 წლიდან, რომ საკრებულოდან მიღებული აქვთ ბიუჯეტის პროექტის ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებით კანონმდებლობის დადგენილ ვადაში წარმოადგენენ დასამტკიცებლად ბიუჯეტის შესწორებულ პროექტს.

აზრი გამოთქვას: მათა კბილაშვილმა, ფრიდონ მაჩიტაძემ, გია სახამბერიძემ, გურამი ჩხეიძემ, ნოდარი გიორგიძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

ნოდარი გიორგიძე